APM TERMINALS
Lifting Global Trade

№91
18.05.2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური" (ს/კ: 215080999) გეგმავს ქ. ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

დაგეგმილი პროექტი საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ნუსხას მიეკუთვნება:

1. პუნქტი 14. ,,შიდასამდინარო გზის ან პორტის მშენებლობა, სადაც ხომალდის ტვირთამწეობა 1350 ტონაზე მეტია";
2. პუნქტი 15. ,,საზღვაო პორტის, ხმელეთთან და სხვა პორტთან დაკავშირებული სატვირთო მისადგომის (გარდა საბორნე მისადგომისა) მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელსაც შეუძლია მიიღოს 1350 ტონაზე მეტი წყალწყვის ხომალდი";
3. პუნქტი 9. ,,მაგისტრალური მიწისზედა ან/და მიწისქვეშა სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია".

I დანართით გათვალისწინებული საქმიანობები ექვემდებარება გზშ-ის პროცედურას. სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურმა" ზემოაღნიშნულ პროექტზე 2020 წლის 29 ივლისს მიიღო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოპინგის დასკვნა №68.

წარმოგიდგენთ ქ. ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, შემუშავებულს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და სკოპინგის დასკვნის (№68, 29.07.2020) პირობების გათვალისწინებით.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

განცხადებას თან ერთვის დანართები:

1. სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);

APM Terminals Poti
Poti Sea Port Corp.
38, Davit Aghmashenebeli str.
4401 Poti, Georgia
T +995 - 493 - 277777
F +995 - 493 - 220688
www.apmterminals.com

№ 8578
"18" 05 2021
2/6 +CD

2. ქ. ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და ტომი II - ის 14 (თოთხმეტი) დანართი - 1 (ერთი) ეგზემპლარი (ნაბეჭდი) ვერსია;
3. გზშ ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კომპანიის მიერ საპროექტო მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე;
6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ელექტრონული ვერსია, საპროექტო ტერიტორიის და მისასვლელი გზების გეოგრაფიული კოორდინატები GIS სისტემაში (შეიპ ფაილები) და საპროექტო ზონაში არსებული ხეების ინვენტარიზაციის ანგარიში - CD დისკზე.

პატივისცემით,

კელდ მოსგაარდ ქრისტენსენი

სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს
გენერალური დირექტორი